ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 07.02.2025 წ.

დადგენილება N50.

ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა, ორმხრივი გაცვლითი პროგრამები და მათი ადმინისტრირება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ნეუ ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) მოქმედი წესი გაცვლითი პროგრამების (ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამა, ორმხრივი გაცვლითი პროგრამები) ადმინისტრირების შესახებ მიზნად ისახავს დაეხმაროს უნივერსიტეტის სტუდენტებს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაში;

1.2. უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამების განხორციელებასა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

მუხლი 2. კონკურსის ჩატარების წესი და პროცედურები

2.1. უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოიცავს საკონკურსო პირობებს, მიმღები უნივერსიტეტების ჩამონათვალს, საჭირო დოკუმენტების სიას და ვადებს, ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდსა და სოციალურ გვერდებზე;

2.2. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, მართავს საინფორმაციო შეხვედრას დაინტერესებულ სტუდენტებთან. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს ეგზავნებათ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებულ ელექტრონულ მისამართებზე და ასევე ქვეყნდება ოფიციალურ ვებ გვერდზე და სოციალურ გვერდებზე;

2.3. გაცვლით პროგრამაში მონაწილე პირები ვალდებულნი არიან დაიცვან კონკურსით გათვალისწინებული პირობები და დადგენილ ვადებში გაგზავნონ სააპლიკაციო პაკეტი სავალდებულო დოკუმენტაციით განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე;

2.4. სტუდენტის მიერ წარმოსადგენი სააპლიკაციო პაკეტი:

- CV;
- პასპორტის ასლი;
- სამოტივაციო წერილი;

- რეკომენდაციის წერილი;
- ცნობა სკოლის აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ნიშნების ამონაწერი GPA-ს მითითებით;
- უცხო ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი (B2);
- სასწავლო ხელშეკრულება;
- ცნობა ნაკლები შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის შესახებ **(ასეთის არსებობის შემთხვევაში):** სოციალურად დაუცვლის სტატუსი, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირი.

2.5. სტუდენტების სააპლიკაციო პაკეტს განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორად არის შედგენილი ყველა სავალდებულო დოკუმენტი;

2.6. სტუდენტს კონკურსის ვადის ამოწურვამდე აქვს შესაძლებლობა გაიაროს კონსულტაცია უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან და შეცვალოს დახარვეზებული სააპლიკაციო დოკუმენტი;

2.7. სტუდენტი უფლებამოსილია სასწავლო ხელშეკრულების შევსებისას, კონსულტაცია გაიაროს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურთან პარტნიორ უნივერსიტეტში ასარჩევი საგნების თაობაზე;

2.8. სასწავლო ხელშეკრულების საბოლოო ვერსია ხელმოწერილ უნდა იქნეს სტუდენტის, მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების მიერ;

2.9. სრული დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე კონკურსით დადგენილ ვადებში. დაგვიანებული სააპლიკაციო პაკეტი განხილვას არ ექვემდებარება;

2.10. კონკურსში მონაწილეობა და მობილობის განხორციელების შესაძლებლობა აქვთ უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს 1 - დან 7 სემესტრის ჩათვლით და მაგისტრატურის სტუდენტებს 1 - დან 3 სემესტრის ჩათვლით. ორივე საფეხურის სტუდენტმა სწავლის ბოლო სემესტრი უნდა გიაროს მშობლიურ უნივერსიტეტში;

2.11. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, შესაბამისი სკოლის დეკანი/მოადგილე ასახელებენ პროფესორებს/მოწვეულ ლექტორებს, სტუდენტთა შესარჩევი კომისიის წევრებად. კომისიის წევრობის უფლება ასევე აქვს უნივერსიტეტის რექტორს ან მის მიერ წარდგენილ ნებისმიერ პირს;

2.12. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას გაცვლით პროგრამებში კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

2.13. არჩეული კომისიის სამუშაო ენა არის ინგლისური.

მუხლი 3. ენობრივი კომპეტენცია და მისი დადგენა

3.1. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის, სტუდენტი ვალდებულია ფლობდეს ინგლისურ ენას ენების საერთო ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს ფარგლებში დადგენილ B2 დონეზე (საშუალოზე მაღალი);

3.2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინგლისურ ენაში B2 დონის ინსტიტუციური ენის ტესტის ორგანიზებას, რომლის ფარგლებში მინიმალური ზღვარი შეადგენს 70 ქულას;

3.3. მინიმალური ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტისთვის გასცემს ენის ცოდნის დამადასტურებელ ცნობას, რომელიც ვალიდურია მხოლოდ გაცვლითი პროგრამების ფარგლებში 2 (ორი) სემესტრის განმავლობაში;

3.4. სტუდენტი, რომელიც წარადგენს ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატს (IELTS ქულებით 5.5 - 6.0 ან TOEFL iBT ქულებით 45 - 60), ავტომატურად თავისუფლდება ენის ინსტიტუციური ტესტის ჩაბარებისაგან.

მუხლი 4. აპლიკანტის შეფასება

4.1. გასაუბრებაზე კომისია აფასებს აპლიკანტს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ზეპირი პრეზენტაცია - მაქსიმალური 40 ქულა (ენობრივი კომპეტენცია, მზაობა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საზღვარგარეთ, პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი, კომუნიკაციის უნარი, მიზანდასახულობა);
- მოტივაცია - მაქსიმალური 20 ქულა;
- აკადემიური მოსწრება - მაქსიმალური 40 ქულა (მაქსიმალური GPA 4.0; 4X10 =40; GPA-ს მინიმალური ზღვარი 2.5);
- ნაკლები შესაძლებლობების მქონე სტუდენტები - 1 ქულა (სოციალურად დაუცვლის სტატუსის, ეთნიკური უმცირესობის, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსის ან ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ დამადასტურებელი საბუთი/ცნობა).

4.2. კონკურსის დასრულების შემდეგ იქმნება შეფასების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი;

4.3. პარტნიორ უნივერსიტეტში სტუდენტის წარდგენა ხდება ქულების რანჟირების მიხედვით. სტუდენტი, რომელიც

დააგროვებს უმაღლეს ქულას, განსაზღრული ადგილებიდან გამომდინარე, ნომინირებული იქნება პარტნიორ უნივერსიტეტში/ებში;

4.4. პარტნიორი უნივერსიტეტის/ების დასტურის შედეგად, სტუდენტი უფლებამოსილია მომდევნო აკადემიურ სემესტრში სწავლა განაგრძოს პარტნიორ უნივერსიტეტში გაცვლითი სტუდენტის სტატუსით;

4.5. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური შერჩეულ სტუდენტებს უწევს კონსულტაციას და ეხმარება სავიზო პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებში, ასევე, უნივერსიტეტის სახელით უზრუნველყოფს მათთვის შუამდგომლობის წერილის მომზადებას საელჩოში წარსადგენად.

მუხლი 5. სტუდენტის ვალდებულებები

5.1. ნომინირებული სტუდენტი ვალდებულია ახალი სემესტრის დაწყებისთანავე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. საგნების არჩევას და რეგისტრაციას, სტუდენტი გადის მასპინძელ უნივერსიტეტში წინასწარ შევსებული, ხელმოწერილი და დამოწმებული სასწავლო ხელშეკრულების საშუალებით;

5.2. პარტნიორ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს არანაკლებ 20 (ოცი) კრედიტისა. ერთი სემესტრის განმავლობაში კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა არის 30 (ოცდაათი);

5.3. მობილობის დასრულების შემდეგ, სტიპენდიის არსებობის შემთხვევაში, თუ სტუდენტი გამოთქვამს სურვილს მასპინძელ უნივერსიტეტში კიდევ ერთი სემესტრით სწავლის გაგრძელების თაობაზე, იგი ვალდებულია თავიდან გაიაროს კონკურსი უნივერსიტეტში. თუ სტუდენტი იმყოფება ქვეყნის ფარგლებს გარეთ - მასპინძელ უნივერსიტეტში, შესაძლებელია კონკურსის გავლა ონლაინ რეჟიმში, რათა ყველა დაინტერესებული სტუდენტისთვის უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობები;

5.4. ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს თავად პროექტი. ორმხრივი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, ანაზღაურების საკითხი დამოკიდებულია უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებზე;

5.5. მობილობის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეს როგორც მასპინძელ, ასევე მშობლიური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან;

5.6. მობილობის დასრულების შემდეგ, სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურში წარადგინოს ნიშნების ფურცელი კრედიტების მითითებით, რომელიც დააგროვა მაპსინძელ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. ხარისხის მართვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარება და

NEU
ევროპული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

კონსულტაციას უწევს სტუდენტს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში კრედიტების აღიარების პროცედურის შესახებ.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

6.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

6.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

6.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.